საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/24 „16" მარტი 2022 წ.

# განკარგულება

**მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის დანიშვნის შესახებ**

„მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 19 მარტის №1/157 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის მე-4 მუხლის საფუძველზე:

1. მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის პირველი ეტაპი (ტესტური გამოცდა) ჩატარდეს 2022 წლის 21 მაისს, მეორე ეტაპი (წერითი გამოცდა) – 2022 წლის 28 მაისს.
2. მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა ჩატარდეს საერთო და სპეციალიზაციების მიხედვით.
3. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების მიზნით კანდიდატთა რეგისტრაცია განხორციელდეს 2022 წლის 11 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის

უმაღლესი საბჭოს მდივანი